აუდიტორული დასკვნა მომზადებული იყოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში ,,სამსახური“) მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის მიერ, ,,შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტისა და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის N139 განკარგულების, სააგენტოს, ბანკს და ბენეფიციარს შორის გაფორმებული სამმხრივი შეთანხმების (შემდგომში ,,სამმხრივი შეთანხმება“) საფუძველზე და სააგენტოსა და ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. აუდიტორული დასკვნის მომზადებისას გამოყენებულ უნდა იქნეს სამსახურის მიერ სამოქმედოდ შემოღებული მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტები.

აუდიტორული დასკვნა უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

1. დასკვნის მომზადების მეთოდოლოგიას;
2. დასკვნის მომზადების პროცესში შესწავლილი/გამოყენებული დოკუმენტაციის დეტალურ აღწერას (დოკუმენტაციის დართვა არ არის სავალდებულო);
3. სესხის თანხით შექმნილი/შეძენილი ქონებ(ებ)ის ადგილზე გადაღებულ ფოტომასალას;
4. სამმხრივ შეთანხმებაში მითითებული მიზნობრიობის შესრულება/არ შესრულების შესახებ ინფორმაციას. მიზნობრიობის შესრულება უნდა დასტურდებოდეს როგორც დოკუმენტურად ასევე აუდიტორის მიერ განხორციელებული ინსპექტირებით (აუდიტორის მიერ ადგილზე ნანახი ფაქტობრივი გარემოებებით). აუდიტორული დასკვნის დასკვნით ნაწილში ნათლად უნდა ეწეროს, რომ ბენეფიციარის მიერ სესხი გამოყენებულ იქნა სამმხრივ შეთანხმებაში მითითებული მიზნობრიობით;
5. მექანიზაციის კომპონენტის შემთხვევაში აუდიტორულ დასკვნას თან უნდა ახლდეს:
   - შეძენილი ტექნიკის/იმპლემენტის ინვოისი;
   - ტექნიკის/იმპლემენტის ფოტომასალა;
   - სესხის გადარიცხვის დამადასტურებელი საგადახდო დავალება;
   - ტექნიკის/იმპლემენტის ზედნადები (შპს ,,სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“-სგან“ (ს/კ 206348736) შეძენილი ტექნიკის/იმპლემენტის შემთხვევაში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს მიღება-ჩაბარების აქტი);
   - ტექნიკის მოქმედი საგარანტიო დოკუმენტი (გარდა შპს ,,სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“-სგან“ (ს/კ 206348736) ტექნიკის შეძენის შემთხვევაში);
   - სსიპ ,,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული რეგისტრაციის მოწმობა (მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემთხვევაში, რომელიც არის იდენტიფიცირებადი და ენიჭება სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიცირების სახელმწიფო ნომერი გაცემული სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ მიერ).

აუდიტორული დასკვნით უნდა დასტურდებოდეს, რომ საწარმო ან/და მიწის ნაკვეთი, სადაც განხორციელდა სესხის თანხის მიზნობრივად გამოყენება, არის მსესხებლის საკუთრებაში,

თანასაკუთრებაში ან სარგებლობაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (თანასაკუთრების შემთხვევაში უნდა არსებობდეს თანამესაკუთრეების თანხმობა, სესხის ვადის განმავლობაში ქონებით სარგებლობის თაობაზე, ხოლო სარგებლობის შემთხვევაში, სარგებლობის ვადა არ უნდა იყოს სესხის ვადაზე ნაკლები).